

**ფილოქსერაგამძლე ვაზის საძირეთა სადელის გაშენების სქემისა და
ფიტო-ტექნიკური ღონისძიებების ოპტიმალური პარამეტრების
გამოცდის შედეგები კახეთის აგროკლიმატურ პირობებში**

ნოდარ ჩხარტიშვილი¹ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი
ლევან შავაძე² – სოფლის მეურნეობის დოქტორი

¹საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი,
საქართველო

²იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი,
საქართველო

E-mail: geoenologist@gmail.com; levan.shavadze@tesau.edu.ge

ანოტაცია: წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ვაზის კულტურა, როგორც საქართველოს აგრობიომრავალფეროვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი. აგრეთვე განხილულია ვაზის ნამყენი ნერგის წარმოების საჭიროება და ფილოქსერაგამძლე საძირე ვაზის მნიშვნელობა მენობაში და ნამყენი ნერგის შემდგომ ზრდა-განვითარების საქმეში. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით ნაშრომი ეძღვნება ფილოქსერაგამძლე საძირე ვაზის სადელში შესასრულებელი ფიტოტექნიკური ოპერაციების შესწავლას, რისთვისაც ცდები მოწყობილი იქნა კახეთში - ყვარელში, კორდონული ფორმების გამოცდის მიზნით. **საკვანძო სიტყვები:** ფილოქსერაგამძლე ვაზი, საძირე ვაზი, სამყნობი მასალა, ვაზის ფორმირება, კორდონი

საქართველო კულტურული ვაზის ფორმათა წარმოშობის ერთ-ერთ პირველ კერადაა აღიარებული. აქ „ხალხური სელექციის“ შედეგად 500–ზე მეტი აბორიგენული ვაზის ჯიშია გამორჩეული, მოშინაურებული და გავრცელებული; ამავე წიაღში მოპოვებულია და აღწერილია თანამედროვე კულტურული ვაზის (*Vitis vinifera sativa*-ს) უშუალო წინაპარი ტიპური ველური სახეობა უსურვაზი (*V. Vinifera Silvestris*), რომელიც წითელ წიგნშია შეტანილი, რომლის წარმოშობის ადგილებში აღწერილია 400–მდე ველური და გავრცელებული ფორმა; აქვეა დაფიქსირებული მათ შორის გარდამავალი ფორმები, რაც ამ ტერიტორიაზე ველური ვაზის გაკულტურების პროცესზე მიგვანიშნებს. [აკადემიკოსი ნ. ჩხარტიშვილი]

როგორც ცნობილია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ბაზაზე არსებულ ვაზის საკოლექციო ნარგაობაში თავმოყრილია და დაცულია 437 დასახელების ქართული ვაზის ჯიში. ხოლო 2018 წელს გამოცემულ ამპელოგრაფიული ნაშრომი ლევან უჯმაჯურიძის, გიორგი კაკაბაძისა და ლონდა მამასახლისაშვილის ავტორობით “ქართული ვაზის ჯიშები” განაგრძობს ვაზის ჯიშების სისტემატიზაციას სახელების მიხედვით, აანალიზებს XX-XXI საუკუნეებში გამოქვეყნებულ ლიტერატურას და წარმოგიდგენს 607 ჯიშის სახელწოდებას, რომელთა ძირითად ნაწილს ახლავს მოკლე ამპელოგრაფიული, აგრონომიული და ენოლოგიური მახასიათებლები, წარმოშობის რეგიონი და პროდუქციის გამოყენების მიმართულება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თამამდ შეიძლება ითქვას რომ ვაზს საქართველოს აგრობიომრავალფეროვნებაში ძალზედ დიდი ადგილი უკავია.

ბოლო წლების განმავლობაში მევენახეობა-მეღვინეობის დარგის აღმასვლის კვალ-დაკვალ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მცირედ გავრცელებული, იშვიათი ვაზის ჯიშების

გამრავლებას და ზოგადად ვაზის ნამყენი ნერგის წარმოებას საბაზრო მოთხოვნებიდან გამომდინარე.

ფილოქსერაგამძლე საძირეები ვაზის ნამყენი ნერგის წარმოების ძირითადი საფუძველია. მათზეა დამოკიდებული ფილოქსერაგამძლე პირველხარისხოვანი ნამყენი ნერგის გამოსავლიანობა, მუდმივ ადგილზე გაშენებული ნამყენი ვაზის გახარება, მისი შემდგომი ზრდა-განვითარება, ყურძნის მოსავალი, ნარგაობის საექსპლოატაციო ხანგრძლივობა და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ფილოქსერაგამძლე საძირეთა სადედეში შესასრულებელი აგროტექნიკის ზოგიერთი საკითხი არასრულყოფილად არის შესწავლილი და საჭიროებს დაზუსტებას, კორექტირებას, გაუმჯობესებას.

ცვლილებებს ექვემდებარება ფილოქსერაგამძლე ვაზის საძირეთა სადედეში ვაზის გასხვლის, ფორმირების, დატვირთვის, ყლორტების აღზრდის წესები, რაც სტანდარტული ლერწის გამოსავლიანობის გაზრდის პოტენციური შესაძლებლობის მყარი საფუძველია.

ჩვენი კვლევის ამოცანას წარმოადგენს არსებული გამოწვევების შესაბამისად ფილოქსერაგამძლე საძირე ვაზის ფორმირებისა და ყლორტების აღზრდის რაციონალური ფიტოტექნიკური ღონისძიებების შესწავლა, რაც უზრუნველყოფს ფილოქსერაგამძლე ვაზის სადედეში მოვლითი – აგროტექნოლოგიური სამუშაოების შესრულების გაუმჯობესებას, პირველხარისხოვანი საძირე ლერწის გამოსავლიანობის გაზრდას, აგროეკოლოგიური რესურსების – მზის რადიაცია, ჰაერაცია და სხვა. ოპტიმალურად გამოყენების საფუძველზე, რაც თავისთავად უზრუნველყოფს ეკონომიკური ეფექტის გადიდებას.

კვლევის მეთოდოლოგია:

ჩვენს მიერ ცდები დაყენებული იქნა კახეთში, კერძოდ ყვარელში - ალაზნის ველის აგროეკოლოგიურ გარემოში.

ჩვენი კვლევა მიზნად ისახავს ფილოქსერაგამძლე საძირე ვაზის სადედეში ვაზის აღზრდა - ფორმირების რაციონალური წესების დადგენას.

2016-2018 წწ. ფილოქსერაგამძლე საძირეთა სადედეში კორდონული ფორმების გამოცდის მიზნით დაყენებული იქნა სტაციონალური ცდა, საწარმოო პირობებში, სადაც გამოიცდებოდა შემდეგი ვარიანტები: საკონტროლო ვარიანტი – თავიანი, უშტამბო ფორმა; I ვარიანტი – ვერტიკალური კორდონი; II ვარიანტი – დაბალშტამბიანი, გრძელი ცალმხრივი კორდონი; III ვარიანტი - დაბალშტამბიანი, მოკლე ცალმხრივი კორდონი; IV ვარიანტი – დაბალშტამბიანი, გრძელი ორმხრივი კორდონი ორი შტამბით; V ვარიანტი – დაბალშტამბიანი, მოკლე ორმხრივი კორდონი ორი შტამბით; VI ვარიანტი – დაბალშტამბიანი, გრძელი ორმხრივიკორდონი ერთი შტამბით;

სააღრიცხვო ელემენტები:

- სააღრიცხვო ვაზეზე იზომებოდა რქის მთელი სიგრძე; მისი მომწიფებული და მოუმწიფებელი ნაწილი.
- იზომებოდა მომწიფებული ყლორტის სისქე - დიამეტრი, რომელიც ჯგუფდებოდა დიამეტრების მიხედვით: < 6 მმ; 6-7 მმ; 8-10 მმ; 11-12 მმ; > 12 მმ;

ცხრილი 1

ცდაში ჩატარებული აღრიცხვის შედეგები 2016-2018 წწ.

ვარიანტი	ცალი, 40 სმ. სიგრძის		
	2016 წ	2017 წ	2018 წ
საკონტროლო - თავიანი უშტამბო	40000	148800	268800
I ვარიანტი - ვერტიკალური კორდონი	69280	127200	177800
II ვარიანტი - დაბალშტამბიანი, გრძელი ცალმხრივი კორდონი	94280	189600	249120
III ვარიანტი - დაბალშტამბიანი, მოკლე ცალმხრივი კორდონი	76880	151200	201040

IV ვარიანტი - დაბალშტამბიანი, გრძელი ორმხრივი კორდონი ორი შტამბით	106000	285600	391200
V ვარიანტი - დაბალშტამბიანი, მოკლე ორმხრივი კორდონი ორი შტამბით	88160	208800	271200
VI ვარიანტი - დაბალშტამბიანი, გრძელი ორმხრივიკორდონი ერთი შტამბით	75840	199200	285480

ცხრილში მოცემული შედეგების მიხედვით 2016 - 2018 წწ. ფილოქსერაგამძლე საძირეთა სადედეში კორდონული ფორმების გამოცდის შედეგებიდან ჩანს, რომ “გრძელი ორმხრივი კორდონი ორი შტამბით” ფორმირებული ვაზის ნარგაობიდან მიღებული მენობისათვის ვარგისი (6-12 მმ. სიმსხოს) ლერწის გამოსავლიანობა 101 %-ით აღემატება საკონტროლო ვარიანტიდან მიღებულ შედეგებს, რაც გამოცდილ ვარიანტებს შორის ყველაზე უკეთესია;

სურათი 1

“ვერტიკალური კორდონი“-ს წესით ფორმირებული ფილოქსერაგამძლე ვაზი



დასკვნა:

1. მევენახეობაში ნამყენი ნერგის წარმოება აქტუალობას არ კარგავს, როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ. ამასთან ერთად საქართველოში შექმნილი ფილოქსერაგამძლე ვაზის წარმოების დეფიციტის გათვალისწინებით აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქვეყანაში გაშენდეს ფილოქსერაგამძლე ვაზის საძირეთა სადედეები მევენახეობა-მეღვინეობის ძირითადი რეგიონებისათვის რეკომენდებული ჰიბრიდების სრული სორტიმენტით;
2. ფილოქსერაგამძლე საძირეთა სადედეში ვაზის აღრდა-ფორმირების ოპტიმალური ვარიანტის დასადგენად წარმოებული კორდონული ფორმების გამოცდის შედეგებიდან გამომდინარე უკეთეს შედეგს იძლევა დაბალშტამბიანი “გრძელი ორმხრივი კორდონი ორი შტამბით” ფორმირებული ვაზის ნარგაობა. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე ფილოქსერაგამძლე საძირეთა სადედეში ვაზის აღრდა-ფორმირებისათვის რეკომენდაცია უნდა მიეცეს - “დაბალშტამბიანი (50 სმ), გრძელ ორმხრივ კორდონს ორი შტამბით”.
3. ფილოქსერაგამძლე ვაზის საძირე მასალის დეფიციტით გამოწვეული პრობლემის გადაჭრის მიზნების მისაღწევად – მაღალი ხარისხის ჯანსაღი უვირუსო საძირე მასალის წარმოების საქმეში ჩვენს მიერ ჩატარებული ექსპერიმენტული ცდების შედეგების და რეკომენდაციების გამოყენებით წარმოებას მიეცემა შესაძლებლობა დაუბრკოლებლად მიაღწიოს დასახულ მიზანს და ერთეულ ფართობზე აწარმოოს უხვი და მაღალხარისხიანი

სამყნობი მასალა – ლერწი, შრომის გაადვილებისა და შესაბამისად ეკონომიკური დანახარჯების შემცირებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აღექსიძე, გ. (2015). საქართველოს აგრობიომრავალფეროვნება (კატალოგი). თბილისი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია;
2. შავაძე, ლ. (2019). დისერტაცია “ფილოქსერაგამძლე საძირე ვაზის სადღეს გაშენების სქემისა და ფიტოტექნიკური ოპერაციების ოპტიმალური პარამეტრების დადგენა ალაზნის ველის აგროეკოლოგიურ სისტემაში”. ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
3. ჩხარტიშვილი, ნ. (2016). მევენახეობა-აგროტექნოლოგია. თბილისი: საჩინოში.

Phylloxera resistant vine rootstock cultivation scheme and the results phyto-technical measures of optimal parameters in Kakheti agro-climatic conditions

Nodar Chkhartishvili¹ - Academician of Georgian Academy of Agricultural Sciences
Ivan Shavadze² - Doctor of Agriculture

¹ **Georgian Academy of Agricultural Sciences, Tbilisi, Georgia,**

² **Iakov Gogebashvili Telavi State University, Telavi, Georgia**

E-mail: geoenologist@gmail.com; levan.shavadze@tesau.edu.ge

Summary

The present paper discusses vine culture as one of the most important representatives of Georgia's agro-biodiversity. The need to produce grafted vine stocks and the importance of producing phylloxera-resistant vine rootstocks. Considering all the above, the paper is dedicated to the study of phytotechnical operations to be performed on phylloxera-resistant rootstocks, for which experiments were arranged in Kakheti-Kvareli to test cordon forms.

Keywords: phylloxera resistant, rootstock, grafting material, vine formation, cordon